№ 15 ხუთშაბათი, 21 იანვარი 1910 წ. № 15

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საშეღავათო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 14, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაზის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А", И. С. Агладзе.

**ანნა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი მაზლის ტფ. სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწაფის

## დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება ტფ. სასულიერო სემინარიის შენობიდან (საბურთალო) დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე ტფილისის სადგურზე, საიდანაც ცხედარს წაასვენებენ დ. სენაკში.

**სასულიერო სემინარიის მოწაფენი** უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ამხანაგთ და ნაცნობთ

## დიმიტრი ქავთარაძის (დემონის)

მოულოდნელ სიკვდილს. ცხედარს სემინარიის ეკლესიიდან გამოასვენებენ ხუთშაბათს, 21 იანვარს, 3 საათზე და წაასვენებენ ახალ-სენაკში საღამოს 8 საათის მატარებლით.

**ვლადიმერ ზაალის ძე პაიჭაძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ ძმის

## ტარასი ზაალის ძის პაიჭაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება დღეს, 21 იანვარს, საბურთალოდან, გაბაშვილის მამული, სასტუმრო „დარიალი". დღის 1-ლ საათზე მიცვალებულს მიასვენებენ ვაგზალში და იქიდან მატარებლით სოფელ მაღლაკში. (1—131—1)

**„პირველი ნაბიჯის" რედაქცია** აუწყებს ამხანაგებს ტრაგიკულად გარდაცვალებას თავის თანამშრომლის სემინარიის მესამე კლასის მოწაფის

## დიმიტრი ქავთარაძისას.

ცხედარს დღეს წაასვენებენ სამშობლოში (სამეგრელოში). (1—1)

## შაბათს, ამა იანვრის 23-ს

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება

„ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კნ. გურამიშვილისა, ეკ. ივ. პოლტარაცკისა, ბ-ნნი ვიქ. რ. ვილმაუ, ივ. სარაჯიშვილი, ბრონ. ი. სლიუსარსკი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. ურუშაძე.

## ქართული და ევროპიული ცეკვა

ნაშუალამევის 2 საათამდის

ადგილების ფასი 3—1 მან. ბილეთები იყიდება წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

**დასაწყისი 8½ საათზე.** (8—6)

წარმოდგენა № 28. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 28.

პარასკევს, 22 იანვარს 1910 წელს.

ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

სობოლჩიკოვ-სამარინისა.

## სად მიხვალ?!

დრამა 5 მოქმედებად თარ. (Quo Vadis) აკაკი წერეთლისა.

**პეტრონის როლს შეასრულებს ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, თ. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი გ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშ., გომელაური, ნ. გვარაძე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ხვიჩონიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, მ. საფაროვი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე. გალერეია 40 კ.-დან 25 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „სამეგრელოს მთავარი ლევან", „მარგარიტა გოტიე".

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 21 იანვარს, 1910 წელს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდ. მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. დ. ყიფიანის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ციმბირელი

კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ღ. ლეჟავა, შალამბერიძე, ციმაკურიძე და ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ზურაბიშვილი და ქეტრეველი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.

მეორე ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 30 იანვარს.

რეჟის. **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ლ. ვახვახიშვილი.**

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ კვირას, 24 იანვარს, გაიმართება

## საღამო

1. ბ-ნი **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს ლექციას: „ნორა იბსენისა.—ევოლუცია ქორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. **დივერტისმენტი:** სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნ მიტკევიჩ-იანოვსკაია (შეასრულებს ქართულ რომანებსაც), ბ-ნნი საკოლსკი, გედევანოვი, კავსაძე თავის ხოროთი, ნ. ერისთავი, გოცირიძე, გრიშაშვილი და სხვანი.

3. ცეკვათამაში

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება **ქალაქის ბირჟის ზალაში**, ერევნის მოედანთან.

(4—3) საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

**გასტროლი იაპონურ დასისა.**



ხუთშაბათს, 21 იანვარს, 1910 წელს, დიდი წარმოდგენა 3 მოქმედებად. საუცხოვო წარმოდგენა შესანიშნავ ევროპ. არტისტებისა და კლოუნების მონაწილეობით. სხვათა შორის, მონაწ. იღებს შესანიშნავი **იაპონური დასი,** რომელიც შესდგება 25 კაცისაგან. ამ დასში სულ სახელის არტისტები არიან. საუცხოვო სანახავია. **დღეს უკანასკნელი გასტროლია.** სხვათა შორის **გეიშა** ეროვნულ ტანისამოსში, იაპონური ორკესტრი. ფრენა იტო-სანისა. იაპონური დასი გამოვა მე-2 განყოფილებაში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. დაწვრილებით პროგრამებში.

დირექტორი **ა. ნიკიტინი.** გამგე **გამსახურდია.**

**ანონსი:** პარასკევს, 22 იანვარს გამოსამშვიდობებელი გასტროლი იაპონელებისა.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—89).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—251)

**ექიმი** კ. თ. ტუშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ. დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—კვ.—3)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—18

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** ა. ი. შჩერბინინა

ველიკოკნიაჟის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—1)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—347)

**ექიმი** გ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—76)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 ყოფილი კირპიჩნაია). (0—39)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. გოკიელოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროთერაპია—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—12)

**ექიმი** შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთ, სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17ა პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. 0—5

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—80)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—97)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—87)

უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად

## განდეგილის

**თხზულებაზე— არის 25 იანვარი.**

ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩა), „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი 25 კაპ. (6—6, —3)

## ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის საზოგადოება.

კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით აბასთუმანში არსდება ყველასათვის ხელ-მისაწვდენი სანატორია—100 ჭლექიანისათვის. სანატორია საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და შემოღებული იქნება ყველა ახალი მეთოდი. ფულის მოკრების შემდეგ, რომელიც საჭიროა საქმის თან და თან განსახორციელებლად, საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგება სანატორიის მოწყობას.

შემოწირულებანი მიიღება საზოგადოების თავმჯდომარესთან კნ. მ. მ. თუმანოვთან—პასკევიჩის ქ. N 6, გამგეობის წევრებთან ექ. მ. ნ. ვესელოვზოროვთან—კირპიჩ. შეს., ექ. ს. ი. ვაწაძესთან—პეტერბ. ქ., N 9, ექ. ი. ზ. გოპაძესთან—მადლ. ქ. N 4, ექ. ვ. დ. დამბაშიძესთან—ვოლოვ. პრ, N 8, ი. მ. დოლუხანოვთან—პასკევ. ქ. N 6, ექ. პ. ა. ზავრიევთან—განოვ. ქ. N 3, ექ. ა. ა. კრესტოვნიკოვთან—აბასთუმანში, ექ. ა. ა. მუხარინსკისთან—ველიამ. N 3, ექ. მონინთან—ქალ. სამშ სახლ., ექ. ი. ი. ოსტროვსთან—მიხეილ. ქ. N 106, გ. ნ. სტეფანოვთან—ახალ-ბებ. ქ. N 1, ექ. ნ. ზ. უმიკოვი—განოვ. ქ, N 15, ექ. მ. გ. ფედოროვი—ელისაბ. ქ. N 100, ექ. ა. ი. ხატისოვთან—ქალაქის გამგეობა. (5—1)

## დღიური

**საქართველო იყიდება!**

„საქართველო იყიდებაო", სწერდა ამას წინად ერთი რუსული პატრიოტული გაზეთი და სიხარულით ცას ეწეოდა: დიდს საიმედო ნიშნებს ხედავდა მომავლისთვის, ძლიერ იარაღს, მტკიცე ნიადაგს... უხაროდა და გვახარებდა ჩვენც—ქართველების მდგომარეობაც გაუკეთესდება, მეზობლებისაგან კულტურას შეითვისებთ და განათლების სხივი შემოგიშუქებთო!

„საქართველო იყიდება! საქართველო ქვეყანა ტურფა, სამოთხის დარი, შემკული ყოველგვარის სიმშვენიერით; მიწა ნოყიერი, მდიდარი ძვირფას მცენარეებით, ცხოველებით, მადნებით; ჰავა სალი, წყალი მკურნავი, ჰაერი საამო სუნნელი... საქართველო საჯაროდ იყიდება!" იძახის ბოქაული და მოუმარჯვებია ჩაქუჩი, რომ დაჰკრას: „ერთი!"

„საქართველო იყიდება!" ამბობს ქართველი მემამულე, სახე გაწითლებული, თვალებ დასისხლიანებული, ტუჩებ დაქონილი, ღვინით შეღებილი, მთვრალი საქეიფოდ გამზადებული, ვნებით შეპყრობილი გაუმაძღარი, სხეულის მონა, სულის მგმობელი, გონებისაგან მლტოლველი, მტრის არ მცნობი, თვისის გამყიდველი, ამბობს და გულის ფანცქალით ყურს უგდებს, რომ ბოქაულმა არ დაჰკრას კვერი, რომ ვაჭარმა კიდევ მოუმატოს მამულს ფასი, რომ მეტად გაასაღოს მოძულებული მიწა-წყალი...

„საქართველო იყიდება!" კარგი ხანია გვესმოდა ეს ხმა საზარი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით, იმიტომ თუ, რომ ჯერ მკრთალი იყო, იმიტომ თუ, რომ სხვა ხმებს შორის ეს ხმა ვერ გამოგვერჩია. ხოლო დღეს კი ეს ხმა გაძლიერდა, ხშირად და ხშირად გვესმის, სხვა ხმები ჰკრთებიან მის წინაშე, ყური ვერ უძლებს მის ძლევას, ცათა გრგვინვა და ჰექა-ქუხილი ვერ აქრობს და ვით მეორეთ მოსვლის წინ მრისხანე საყვირი გვაუწყებს უდიდეს განსაცდელს.

ეს გამაფრთხილებელი საყვირია სიკვდილის მოვლინებული და ვაი იმ ერს, რომელიც არ ისმენს და ყურად არ მიიღებს ამ გაფრთხილებას. ისტორიამ არ იცის სიბრალული და ცხოვრების ჩარხი რაკი შეტრიალდება, მისი უკან მობრუნება არავის ძალუძს. ცრემლები, გოდება და მწერე მოთქმა ვერ მოგვიტანს დაკარგულს და ხმა-გამოუცემლად, უპასუხოდ დარჩება ყოველივე ჩვენი მიმართვა.

ერის ცხოვრებაში არის ისტორიული მოვლენები, რომლებიც სწყვეტენ მის ბედს და ერს შეგნებულად შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ამ გადაწყვეტაში, ხოლო გადაწყვეტილის გასწორება მის ხელთ აღარ არის, შობა არ გარდაიქმნება სიკვდილად

და სიკვდილი შობად. შობილი სცხოვრობს, ხოლო მკვდარი განისვენებს სამარეში, რომელსაც ნათესავის და მოგონება დარჩენია ერთად-ერთ ნუგეშად. ერი იბადება მიწისაგან და კვდება უმიწოდ. ერს ჰქმნის და ასაზრდოებს მიწა. პრობლემა ეროვნულისა არის პრობლემა ტერიტორიისა და ფიქციაა სხვა ყოველივე თეორია, რადგან არ არის არც ენა, არც ისტორია, არც კულტურა გარეშე მიწისა. როგორც თვით ადამიანი სხეულით, ისე ყველაფერი მისი სულის ნამოქმედარი არის მიწაზე აღმოცენებული. მიწით სუნთქავს ადამიანი, მიწით მოძრაობს ადამიანი, რომელიც იმგვარადვე პირდაპირი შვილია მიწისა, როგორც ეს ან ის ამ მიწის თავისებური მცენარე ან ცხოველი. სულის წარმოშობილი წრე, რასაც ჩვენ ცივილიზაციას ვეძახით, ოდნავადათ არ ასუსტებს განუწყვეტელ დამოუკიდებლობას მიწასთან და ადამიანი კერძო და ერი მთელი მით უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო ახლოა მიწასთან.

როცა ქართველი ერი დაჰკარგავს **თავის** ტერიტორიას, ის დაამთავრებს **თავის** ისტორიას, მოისპობა. მოისპობა ყოველ ისტორიულ ცხოვრებისათვის; მკვდარი ქართულ ეროვნულ ისტორიისათვის, მკვდარი იქნება **სხვის** ისტორიისათვის, რადგან სული მკვდარი აბსოლუტურად არრას ჰქმნის, სხეული კი, ვითარცა ნივთიერება, ისტორიაში არ იღებს მონაწილეობას. ნურავინ მიგვითითებს ებრაელებზე და ნუ გვეტყვის: აი, მაგალითი უტერიტორიო ერისა!

სადავო საგანია: არსებობს თუ არა ერთი მთლიანი ებრაელი ერი? და მერე ვერ არის კარგი მაგალითი ათასში და ათი-ათასში გამორიცხული. მრავალთა შორის გადარჩნენ მარტო ებრაელები, და განა მათი პირობები ანმეორდებიან ჩვენთვის? მეტად სუსტი იმედია, რომელსაც წყალწაღებული ადამიანი თუ ჩასჭიდებს ხელს.

საქართველოს ტერიტორიასთან ერთად ჰქრება საქართველოს ისტორიაც. რა ფასი აქვს ისტორიას უმიწოდ, სადაც ისტორიული ამბები ხდებოდა! რას გვეტყვის წინაპართა გმირობა, თუ აღარ გვექნება მამული —საგანი ამ გმირობისა? რას წავიკითხავთ ისტორიაში, როცა გაუგებარი და უცნობი იქნება ჩვენთვის მშობელი ამ ისტორიისა? რა გააცხოველებს ისტორიას, რა ჩაუდგამს სულს, რა გაანამდვილებს, როცა ჩვენ აღარ გვექნებიან ძვირფასი საფლავები და ნაშთები? უცხო შეიქმნება ჩვენი ისტორია ჩვენთვის, როგორც უცხო შეიქმნა ჩვენი მამული!

აღარ იქნება საამო და გასაგები ჩვენთვის ქართული ენა, რომელიც წარმოშვა ჩვენი სამშობლოს ბუნებამ: მწვანე მინდვრებმა, დაბურულმა ტყეებმა, თვალ-უწვდენელმა მთებმა, შეუპოვარმა მდინარეებმა, მოწმენდილმა ცამ და გაზაფხულის ღრუბლებმა. სილამაზე, სიუხვე, სიცხოველე სამშობლო ქვეყნისა ჩაქსოვილია ჩვენს ენაში, რომელიც ამასვე არ გვეტყვის უცხო მხარეს, სხვაგან გარდახვეწილებს!

ველარ გავიგებთ მშობლიურ სიმღერის ჰანგებს. ტყუილად იმღერებს მგოსანი: „ცა მშვენიერი, ცა მშობლიური მარად ბრწყინვალე ზედ დაგვნათიდეს“. ამაოდ გვეტყვის: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი დამაფიქრებელნი, ვერანანი და უდაბურნი, ვითარ შვენიან, რომ მონამენ ცვარნი ციურნი, ოდეს საღამოს, დაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!“ არავინ დაუგდებს ყურს პოეტის აღტაცებულს სიტყვებს: „ცა—ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩვენო სამშობლო მხარეო!“ არავის გულს მისწვდება „ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ!.. ქართვლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ“!

ყოველივე ეს უცხო იქნება ჩვენთვის ისე, როგორც მთაწმინდა, არაგვი და მთელი საქართველო!.. მხოლოდ ერთი ლექსი იქნება ჩვენთვის გასაგები, ერთი სიტყვა მოხვდება გულს ლახვარივით, დასჭრის, დაფლეთავს, ერთი სიმღერა აგვიხელს თვალებს და აამოძრავებს გრძნობას უკანასკნელად —მოთქმა ებრაელებისა ბაბილონის მდინარეებზე:

მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე ჩიტს,
კაცსა სამშობლო და ისრაილსა
არა რა, გარდა თვის საფლავისა!..

**ხიტუა.**

## დეპეშები

(პეტ. ტელ. დეპეშათა სააგენტოსაგან,
20 იანვარი.

**ათინა**. დრაგუმისმა ახალი სამინისტრო შეადგინა.

**პარიზი**. ათინაში გაზეთები გვიან გამოდის. „ტანი“-ს ათინელმა თანამშრომელმა ინახულა თეოტოკისი და სთხოვა განემარტა, თუ რად შეიცვალა აზრი ეროვნულ კრებაზე. თეოტოკისმა უპასუხა: მე თუ დავთანხმდი ეროვნულ კრების მოწვევას, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამხედრო ლიგა დაიშლება. ამას გარდა მხოლოდ ეროვნულ კრებას შეუძლიან საბერძნეთში წესრიგი აღადგინოს. ეროვნული კრება არ შეეხება კონსტიტუციის ძირითად მუხლებს. პოლიტიკურ პარტიების ლიდერების პატრიოტიზმი თავდებია იმისა, რომ ეროვნული კრება დამფუძნებელ კრებად არ გადაიქცევაო.

**ვენა**. „კორესპონდენტ ბიუროს“ სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ჯარში გაიწვევენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მარტში უნდა გაეწვიათ. გაცნობილ წრეების აზრით ამას პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს. საზოგადოებრივი აზრით კი რაკი ოსმალეთმა 20,000 სათადარიგო სალდათი ჯარში გაიწვია, ბოლგარიაშიც დააჩქარა ახალგაზრდების ჯარში გაწვევაო. პოლიტიკურ წრეებში ძალიან დაინტერესებულნი არიან ზოგიერთ ბოლგარულ გაზეთების მიერ გავრცელებულ ცნობებით, რომ ამ მოკლე ხანში ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს სერიოზული თათბირი ექნებათ და ოსმალეთი ანდრიანოპოლის სამხედრო ოლქში მობილიზაციას ახდენსო.

**ნიუ-იორკი**. არინმეროდან იუწყებიან: მაღაროებში გაზი აფეთქდა. მოკვდა 8, ნანგრევებს ქვეშ მოჰყვა 100 მუშა. ნანგრევებიდან ამოიღეს 79 მუშის გვამი. აფეთქების დროს მაღაროებში 149 კაცი მუშაობდა. ეშინიათ, რომ დანარჩენი მუშები არ დაღუპულიყვნენ.

**ბერლინი**. რეიხსტაგი. კენჭი უყარეს სოციალისტ ლედებურის წინადადებას, 16 იანვარს თავმჯდომარემ უკანონოდ მომცა შენიშვნაო. რეიხსტაგმა არ მიიღო ლედებურის წინადადება. წინადადების მომხრენი იყვნენ სოციალ-დემოკრატები, პოლონელები და თავისუფალი მოაზრენი. მემარცხენეებს უნდოდათ ვიცე-პრეზიდენტის გოგენლოეს გადაყენება, რაიც კრიზისს გამოიწვევდა. რეიხსტაგმა მიიღო გერმანია-პორტუგალიის სავაჭრო ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება უარ-ჰყო რეიხსტაგის კომისიამ.

**ქრისტიანია**. სტორტანგის თავმჯდომარემ კონოვმა ახალი სამინისტრო შეადგინა.

**ბერლინი**. ფრიდენაუს სახალხო სკოლაში აფეთქება მოხდა. ბუნებისმეტყველების მასწავლებელი მოწაფეებს აჩვენებდა, თუ როგორ ამზადებენ თოფის წამალს; როდინში ნაყამდა გვარჯილას და გოგირდს. სწორედ ამ დროს გოგირდი და გვარჯილა აფეთქდა. მსუბუქად დაშავდა ხუთი მოსწავლე ქალი, მასწავლებელს ხელები გაუფუჭდა.

**ათინა**. მთავრობას განზრახვა აქვს პარლამენტის კომისიასთან ერთად შეიმუშაოს სია კონსტიტუციის იმ მუხლებისა, რომლებიც ეროვნულმა კრებამ უნდა განიხილოს.

**კალკუტა**. სასამართლომ განიხილა ახალგაზრდა ბენგალიელის საქმე. ბრალდებოდა პოლიციის აფიცრის მოკვლა. სასამართლომ ბენგალიელს სიკვდილი გადაუწყვიტა.

### ჰაერში ფრენა

**ბუი** (მარნის დეპარტამენტი). რუსის ავიატორმა ეფიმოვმა საათი და 50 წუთი იფრინა. ეფიმოვს ფრენის დროს თან ჰყავდა ერთი მგზავრი.

**ბერლინი**. საბიუჯეტო კომისიაში მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა: ყველაზე უკეთესად ჰაერში ფრენის საქმე გერმანიას აქვს დაყენებული. მთავრობა ყველა სისტემის დირიჟაბლების აშენებას უწყობს ხელს. ჰაერში მფრენავი ფლოტის აშენება საჭირო არ არის, რადგან ძალიან ძვირად დაჯდება, მაგრამ გერმანიას მაინც უნდა ჰქონდეს კარგა ბლომა ჰაეროსტატები და კერძო პირებსაც დახმარება უნდა გაუწიოს ჰაეროსტატების აგებაში.

**კაირი**. ფრენის დროს ჩამოვარდა ავიატორი მორტიმერ ზინგერი. ზინგერმა მოიტეხა ხელი და ფეხი.

**ასტრახანი**. ნაურბალში შავი ჭირით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5 კაცი.

**ოდესსა**. ქალაქის საბჭომ დაადგინა შეატყობინოს პრემიერ-მინისტრს სტოლიპინს, რომ გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევი ოდესის საკეთილდღეოდ იღწვის.

**[illegible]ბურგი**. პელცერის ქარხ-[illegible]ს, გლეხს [illegible] ნის დირექტორის მკვლელ[illegible] ლეიხტერს სიკვდილით დასჯა 20 წლის კატორღით შეუცვალეს.

## ქართული საისტორიო მწერლობა

მე-13—15 საუკუნოებში მონგოლების შემოსევამ საქართველოს ბედ იღბალი მოულოდნელად უკუღმა დაატრიალა. რასაკვირველია, ცხოვრების დაქვეითებას საისტორიო მწერლობის დაქვეითებაზედაც უნდა ჰქონოდა გავლენა. საქართველოს ისტორია მონგოლების ბატონობის დროს აწერილია ერთს თხზულებაში, რომელიც იწყება ლაშა გიორგის მეფობით (მე-13 საუკ. დასაწყისი) და თავდება იქ, სადაც გიორგი V ბრწყინვალის ისტორია უნდა იწყობოდეს (მე-15 საუკ. დასაწყისში). ამ ხანის მთელი ყოფა-ცხოვრების აღწერილობა ეკუთვნის ერთ ავტორსა. ეს ცხადადა მტკიცდება მრავალ ცნობით, რომელიც თვით თხზულებაშია გაფანტული. ავტორი გიორგი ბრწყინვალის მეფობასა და საქართველოს მონგოლთა ბატონობისაგან განთავისუფლებას მოსწრებია. ხელთა ჰქონია თანამედროვეთა მიერ აღწერილი თხზულებები, როგორც, მაგალითად, ვიღაც შიო მღვიმელ ბერის, უცნობ „ჟამთა აღმწერელის“ და „ყოვლის აღმწერელის„ და სხვათა თხზულებანი. ავტორს სცოდნია უღლურული, მონგოლური და სპარსული ენები და მწერლობა. საზოგადოდ განათლებული და გასაოცრად პირუთვნელი ისტორიკოსია. მისი თხზულება შინაარსიანია, ხოლო ცნობები უცხო ერთა ისტორიკოსთა მოწმობებითაც მტკიცდება. მაგრამ ქართველ მე-11-12 საუკუნოების ისტორიკოსთა თხზულებებთან შედარებით იმის ნაწარმებს უკვე თვალსაჩინო დაქვეითება ეტყობა. მონგოლთა ბატონობის ისტორიკოსის თხზულებაც მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი.

როგორც სჩანს და საბუთებიც მოიპოვება, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ისტორიაც ყოფილა დაწერილი და ერთ დროს „ქართლის ცხოვრებაშიაც“ შეუტანიათ, მაგრამ შემდეგში ეს თხზულება დაკარგულა და აქამდის ვერ აღმოუჩენიათ.

ვახტანგის სწავლულ საისტორიო კომისიის მოწმობით „ქართლის ცხოვრებაშივე“ შეტანილი ყოფილა ბაგრატისა და კონსტანტინეს „ცხოვრებანი“. თვით ამ კომისიას მოჰყავს იქიდან ცნობები მათ მიერ შედგენილ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში. ვინ იყვნენ ამ ორ თხზულებების ავტორები და რა დროს სცხოვრობდნენ, არა ვიცით რა. არც იმისი გამორკვევა შეიძლება ეხლა, კომისიის მიერ არის შეტანილი ცნობები ბაგრატისა და კონსტანტინე მეფეთა გენიალოგიის შესახებ, თუ უკვე თვით დედანში იყო ასეთი მსხვილი შეცდომები. უკანასკნელ შემთხვევაში, რასაკვირველია, ავტორი თანამედროვე არ იქმნებოდა. თუ ჩვენ ავტორის ვინაობის შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, „ცხოვრებათა“ მიმართულების მიხედვით მაინც მკვლევარი ადვილად მიჰხვდება, რომ ავტორი ან რომელიმე ბარათაშვილი უნდა ყოფილიყო ან არა და მათი მოყმე და თანამგრძნობელი, რადგან თვით მოთხრობაში ბარათაშვილებისაკენ ცხადი მიკერძოება გამოსჭვივის.

არცა გვაქვს აგრეთვე თხზულება, რომელსაც სახელადა ჰქვია „ძეგლი ერისთავთა“ და მოგვითხრობს ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს. ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი, თუმცა ზოგიერთ საინტერესო ცნობებს შეიცავს, მაგრამ დიდ შეცდომებით არის სავსე, ხოლო მეორე ნაწილი მეტად ძვირფასი წყაროა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილის ყოფა-ცხოვრებისა და მოსახლეობის და ეროვნულ ვითარების შესასწავლად. თხზულების ეს ნაწილი თანამედროვეს მიერ არის დაწერილი ლარგვისის მონასტერში. პირველად ამ თხზულების ფრანგული თარგმანი დაბეჭდა ბროსემ, ხოლო ქართული დედანი —ბ-ნმა ჟორდანიამ თავისის ქრონიკების მეორე ნაწილში.

მე-16 საუკუნიდან ჩვენამდის არც-ერთ ისტორიას არ მოუღწევია. არც ის ვიცით, არსებობდა ამგვარი თხზულება, თუ არა. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ არსებობდნენ ქრონიკები **„მესხურ დავითნისა“**, რომელმაც ჩვენ დრომდისაც მოაღწია და რომელიც ექვ. თაყაიშვილის მიერ არის გამოცემული „სამ ისტორიულ ქრონიკაში“, და **„გელათური ქრონიკა“** რომლის შესახებაც ცნობები მოეპოვება ვახუშტს. ხოლო თვით დედნიდან ამოღებული ნაწყვეტები შეტანილია „ქართლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელებაში და განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ „პარიზის ქრონიკაში“. გელათური ქრონიკა, როგორცა სჩანს, დასავლეთ საქართველოს ასის წლის ისტორიას შეიცავდა. სამწუხაროდ, იგი ეხლა დაკარგულად ითვლება. „მესხურ ქრონიკა“-საც ჩვენამდის სრულიად არ მოუღწევია. შენახულია მხოლოდ ცხრამეტის წლის ამბები. ეს ქრონიკა დაწერილი უნდა იყოს სამცხის ათაბაგთა ოჯახის ერთ-ერთ წევრის მიერ. ორივე ქრონოლოგიურის ცნობებით არის სავსე და ამ დროისათვის ძვირ-

# ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

„როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით“.

4*)

„ჩვენ ვერასოდეს ვერ შევურიგდებით იმ აზრსაო, სთქვა ერთმა თანამედროვე ფილოსოფოსმა, რომ თვითეული მომენტი და პერიოდი ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენი ნიჭნი და ინსტინქტნი მხოლოდ საშუალებანი არიან რაღაც უდიდეს მიზნისა; ამას ყოველთვის ნაკლულევანების თვისებად მივიჩნევთ. მთელი ხელოვნება ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მისი წუთი ერთსა და იმავე დროს მიზნადაც და საშუალებადაც გარდაიქციო“. (ჰოფდინგი. „ფილოსოფიური პრობლემები“, 97 გვ., რუს. თარგ., პეტერბ. 1904) და მართლაც თუმცა ადამიანობის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია ის შეხედულება, რომელიც იდეალის განხორციელებას მხოლოდ წუთიერებაში ჰლამობს, რომელიც აბსოლუტურ ღირებულებად მხოლოდ მომენტსა სცნობს, მაგრამ აქედან სრულიადაც ის დასკვა არ გამომდინარეობს, რომ ყოველი პერიოდი ჩვენის ცხოვრებისა მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა ან თავის თავად სავსებით უმნიშვნელო საფეხური მუდმივ მიუწდომელ იდეალისაკენ, რომელიც ანათებს სადღაც შორს, ცხოვრების გარეშე. დროებაში გაშლილი ცხოვრების აზრი და მიზანი წუთიერებაში არ უნდა დავინახოთ, მაგრამ არც ის იქმნება გონიერი, რომ ის თვით დროების გარეშე ვეძიოთ.

ორ უკიდურესს პოლუსს შორის ტრიალებს კაცობრიობის აზროვნება ზნეობრივ პრობლემის გადაწყვეტის დროს და ამით აშკარად მოწმობს იმ მძაფრს წინააღმდეგობას და დისჰარმონიას, რომელიც ჩვენს ბუნებაშია დამალული. ყოველი ევდემონიური, უტილიტარული ან ჰედონიური სისტემა, ე. ი. ყოველი მორალი ბედნიერებისა, სარგებლიანობისა და სიამოვნებისა ლოგიკურის აუცილებლობით წუთიერების გადაჭარბებულს დაფასებამდე მიდის, თუმცა თვითონ ძლიერ იშვიათად ჰგრძნობს ამ გარემოებას. ბუდდიზმის სიბრძნე, ფილოსოფიური ქრისტიანობა, პლატონი, კანტი, შოპენჰაუერი და მათი მონათესავე შეხედულებანი კი შეგნებულად სცდილობენ სრულიად გაანთავისუფლონ ეთიური შემეცნება დროების ჩარჩოებისაგან ამ-ქვეყნიური ყოფნა გარდააქციონ საშუალებად ან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან პრელუდიად მუდმივ და უკვდავ არსებობისა.

კერძოდ ჩვენს თანამედროვე არსებობაში ეს უკანასკნელი აზროვნება შეიძლება არა ნაკლებ პოულობს გამოხმაურებას, ვიდრე პირველი, თუ შეიძლება გამოხმაურებაზე ვილაპარაკოთ იქ, სადაც პრაქტიკული ყოფა-ქცევა იშვიათად უფიქრდება თავის თეორეტიულ და ფილოსოფიურს საფუძვლებს და წინასწარ მოსაზრებებს. ჩვენ მუდმივ ვემზადებით ცხოვრებისთვის, ნამდვილს ცხოვრებას-კი ხშირად ვკარგავთ ამ მზადებაში. ჩვენი არსებობის თვითეულს ხანას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ისეთს რამეს, რაც უნდა უარყოფილ და ძლეულ ან, ყოველს შემთხვევაში, რაც შეიძლება ჩქარა განვლილ იქმნას იმ იდეალურ მდგომარეობის მისაღწევად, როცა ჩვენ ბოლოს ერთხელ გამოვალთ როგორც ნამდვილნი ადამიანნი და მოქალაქენი ძლიერ ბრწყინვალე და ძლიერ წარმტაც ცხოვრების მატარებლად. ან შეიძლება თუ ჩვენ პირადად არა, ჩვენი შთამომავალნი მაინც. ჩვენ მუდამ ველით, რომ აი, მივაღწევთ იმ საოცნებო აღთქმულს ქვეყანას, რომელიც ჯერ არავის უნახავს და ამ ლოდინში ვბერდებით და ვიხოცებით, როგორც პალესტინის მაძიებელი ებრაელნი არაბეთის უდაბნოში. ჩვენი იდეალი მითიურ მეწამულ ზღვის გაღმა რჩება, ჩვენ გამოღმა, ცხოვრებას-კი ტალღები ნთქავს უკვალოდ ეგვიპტელ ფარაოს ლაშქარივით.

ჩვენ ვივიწყებთ, რომ ცხოვრების ყოველს პერიოდს თავისი დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნელოვანება აქვს, თუმცა ისინი შეიძლება აბსოლუტურნი არ იყვნენ, რომ თვითეულს მომენტს თავისი განსაკუთრებული მიზნებიც აქვს, რომელთაც ანგარიში უნდა გაუწიოთ, თუ გვინდა რომ ცხოვრება ცხოვრებად დარჩეს და არა, მეორედ მოსვლის“ უმოქმედო ლოდინად... ჯერ კიდევ ბავშობაში იწყება ჩვენი „მზადება“ ჭაბუკობის ჰასაკში შესასვლელად: რომ ბავშვობაა უწინარესს ყოვლისა ბავშვობაა და მხოლოდ შემდეგ ჭაბუკობის შესავალი—ეს უბრალო, მაგრამ ძლიერ დიდმნიშვნელოვანი ჭეშმარიტება თითქმის არასოდეს არ მოსდით თავში იმათ, ვისაც ბედისწერა ჩვენი არსებობის ნორჩს ხანას უგდებს ხელში. შემდეგ მოდის სიჭაბუკე „დრო იმედისა და სიყვარულისა“. აქ უკვე თვით ჩვენ განვაგრძობთ დაწყებულს მზადებას: თვალწინ გვიდგას მომწიფების და დავაჟკაცების ხანა, „ნამდვილი ცხოვრება“, როცა მოვაწყობთ კერძო და საზოგადოებრივს მდგომარეობას და დავიწყებთ მოქმედებას ოჯახის, საზოგადოების, ერის თუ კაცობრიობის საკეთილდღეოდ. აი, შევსდგით ფეხი ამ სფერაშიაც, რომელიც მთელი ჩვენი აღზრდის, სწავლის და განვითარების მიზნად ითვლებოდა და გაოცებულნი ვხედავთ,—რომ ეს „ნამდვილი ცხოვრება“ არც ისე სანატრელი ყოფილა, როგორც შორიდან გვეგონა, რომ შეიძლება განვლილს გზაზე, რომელიც ჩვენ მხოლოდ ტაძრის საფეხურეებად მივიჩნიეთ, ბევრად მეტი იყო სიხარულიც, ბედნიერებაც და მშვენიერებაც.

მაგრამ ამით კიდევ არა თავდება ჩვენი ეპოპეია. აწმყო დუხჭირია, ღარიბი, უფერული: მაგრამ მერე რა, განა ის არის ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელი სადგური? „უუნამდვილესი მიზანი“ ჩვენი ცხოვრებისა ჩვენივე ცხოვრების გარეშე სძევს და სხვაგან განხორციელდება, მომავალს საზოგადოებაში ან საიქიოს ან მეორედ მოსვლისას, ქრისტეს საუკუნო მეუფებაში; იდეალური არსებობა დაიწყება მაშინ, როცა ჩვენ აღარ ვიქმნებით, როცა დავიხოცებით ან როცა მკვდრეთით აღვსდგებით. ნამდვილი ცხოვრება მირბის და თან მიაქვს ჩვენი საუკეთესო ნიჭნი, ძალნი და ოცნებანი, ჩვენ კი ღატაკ და მწირ პილიგრიმივით სიკვდილის წინ სანუგეშოდ ის-ღა დაგვრჩენია, რომ სხვები მაინც მიაღწევენ იმ წმინდა ადგილს, რომლის ნახვაც ბედმა ჩვენ არ გვარგუნა.

ყოვლად უსაფუძვლოა ეს ნუგეში და იმედი: ცხოვრება არ არის ქეიფი სხვის დღესასწაულის გამო და დღესასწაულსაც მომავალი თაობანი ვერ მოაწყობენ, თუ ჩვენ მათ მხოლოდ ყავარჯენს და დაფლეთილს ჩანთას ვუანდერძებთ სამათხოვროდ. ცხოვრება არის უწინარესს ყოვლისა ჩვენი ცხოვრება, ე. ი. იმ ძალთა და ნიჭთა ყოველ-მხრივი გაშლა, რომელნიც ჩვენს არსებაში ჩაუნერგავს ბუნებას. აწმყოც მხოლოდ მაშინ დაედება მშვენიერს და იდეალურს მყობადს მტკიცე და შეურყეველს საფუძვლად, მხოლოდ მაშინ გაუწევს მას რეალურს სამსახურს, როცა იგი თავის თავს მიზნადაც ჩასთვლის, რაც იგი თვითეულს თავის მომენტს იდეალის თვალსაზრისით შეჰხედავს... დიახ, გვწამს, რომ მკვდრეთით აღდგომა უნდა მოხდეს. მაგრამ არა ჩვენი სიკვდილის შემდეგ, არა მომავალ თაობათა კეთილდღეობის და ლაღობის ან, მით უმეტეს, მეორედ მოსვლის და საშინელ განკითხვის სახით, არამედ აქ, ამ ცხოვრებაში, სანამ ჩვენ სრულიად გავიყინებოდეთ, ან დავიხოცებოდეთ სანამ ჩვენში კიდევ ჰფეთქენ ბუნების უკვდავნი ძალნი.

5.

„ღვთაებრივი პლატონი“, ერთი უდიდესი გონების იმ გმირთა შორის, რომელნიც ადამიანთა ტომს ოდესმე უნახავს, პირველი ფილოსოფიური დამცველია ზეგრძნეულ და ზედროულ ეთიურ იდეალისა. სააქაო ცხოვრების არარაობად აღიარებით, დაუფარავი ზიზღით ყოველის სხეულებრივისა და გრძნეულებისადმი: თავის მკვეთრის დუალიზმით მატერიალურსა და იდეალურს შორის იგი საგულისხმიერო წინააღმდეგობაში იმყოფება ბერძენი წმინდა ნაციონალურს აზროვნებასთან, როგორც ეს უკანასკნელი, მაგალითად, ჰომიროსის პოემებში გამოიხატა ან ფილოსოფიურს ჰილოცოიზმში და მდიდარს და მრავალმხრივს ხელოვნებაში.

ცხოვრების სიხარულით გამსჭვალულ ბერძენისათვის, როგორც ჰომიროსის დროიდან დაწყებული სპარსელებთან ომების გათავებამდე ვხედებით მას, სააქაო ერთად-ერთი ღირსეული ასპარეზია მოქმედებისა და იდეალების განხორციელებისა. საიქიო კი რომელიც შედარებით იშვიათად აფიქრებს მას, პირიქით, აჩრდილთა უფერული და მწუხრი სამეფო, მოკლებული სხეულებრივობას და, მაშასადამე, სრულს და იდეალურს არსებობას. სხეულის და სულის ჰარმონიაში ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მათს მთლიანობაში მდგომარეობს ის იდეალი მშვენიერი და საოცნებო ადამიანობისა, რომელიც კლასსიკურად ჰომიროსის, ფიდიასის და პრაქსიტელესის ხელოვნებამ გამოხატა: გრძნეული გამსჭვალული იდეალურით და იდეალური გრძნეულით იმ განსაცვიფრებელ მწყობრს ფორმაში, რომლის მსგავსი კაცობრიობას შემდეგ ძლიერ იშვიათად უნახავს.

*) იხ. „დროება“ N 14.

ფასს საისტორიო მასალად უნდა ჩაითვალოს. რასაკვირველია, არც ერთი ზემო აღნიშნული ქრონიკა ისტორიად არ ჩაითვლება და ამ მხრივ მეთექვსმეტე საუკუნის საისტორიო მწერლობას ცხადი დაქვეითება ემჩნევა.

მე-17 საუკუნის განსაკუთრებით მეორე ნახევარში საქართველოს გონებრივ ცხოვრებას თვალსაჩინო გამოფხიზლება დაეტყო. ამავე დროს გაიღვიძა დაძაბუნებულმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ. მე 17 საუკუნის ამბები აღწერილი აქვს ფარსადან გორგიჯანიძეს რომლის თხზულების უკანასკნელი ნაწილი შეიცავს ისეთის ამბების ცნობებს, რომელიც ან მას თვითონ თვალით უნახავს, ან თანამედროვეთაგან გაუგონია. მაგრამ იმის თხზულების წინა ნაწილებიც საყურადღებოა, განსაკუთრებით შესავალი, მით რომ საუცხოვოდ გვისურათებს რამდენად დაქვეითებული ყოფილა საქართველოში განათლებულ წრეებშიაც კი სამშობლო ქვეყნის ისტორიის უძველეს ხანის ცოდნა, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმის თხზულების იმ ნაწილს, სადაც იგი მოგვითხრობს საქართველოს თავ-გადასავალს ლანგთემურისა და ერანის ხელმწიფეთა ბატონობის დროს. ამ ნაწილებისათვის იგი სარგებლობს სპარსულ წყაროებით, შერეფ-ედ-დინ ალი იეზდისა და ისკანდერ მუნშის ისტორიებით, როგორც სპარსულ დედანთან შედარებამ გამოაშკარა. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია დაწერილია 1696 წ. და ამ თხზულების მხოლოდ უკანასკნელი ნაწილია ბროსსეს მიერ გამოცემული ჩუბინაშვილის რედაქტორობით,

ფარსადან გორგიჯანიძე ქართლის მეფის როსტომის მიერ აღზრდილი იყო, სიჭაბუკის დროს იმის სამეფო კარზე იყო. მხოლოდ შემდგომ მთელი თავისი სიცოცხლე ერანის ბრძანებელთა სამსახურს შეალია. იმის გულში ამის გამო ორგვარი გრძნობა ღვივის, იმის კალამს ორპირი მიმართულება ეტყობა.

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ნამესტნიკის წარმომადგენელი.** როგორც ვიცით, შარშან პეტერბურგში გარდაიცვალა კავკასიის ნამესტნიკის წარმომადგენელი უმაღლეს დაწესებულებაში ბარონი ნოლდე. ამბობდნენ, რომ ნამესტნიკის წარმომადგენლის ადგილს სულ გააუქმებენო. ეს ხმა არ გამართლდა. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ნამესტნიკის წარმომადგენლად დაუნიშნიათ სახელმწიფო საბჭოს წევრი ნიკოლსკი.

◆ **თავის მოწამვლა.** 18 იანვარს თავი მოუწამლია ტფ. სასულიერო სემინარიის მესამე კლასის მოწაფეს დიმიტრი ქავთარაძეს.

◆ **თ. ჩერქეზიშვილის მდგომარეობა.** პეტერბურგიდან გუშინ დეპეშა მოვიდა. იუწყებიან, რომ ტფ. ქალაქის თავი ვ. ნ. ჩერქეზიშვილი აპერაციის შემდეგ ძლიერ დასუსტდა, მაგრამ ბოლო დროს ისევ გამოკეთდაო. ავადმყოფს თვე ნახევარი დასჭირდება ექიმობა.

◆ **ახალი გადასახადი.** რკინის გზის სადგურზე იმათთვის, ვისაც მატარებლის წასვლამდე ბაქანზე უნდა გასვლა, გადასახადი დაუწესებიათ—ორი შაური.

◆ **ექსარხოსის ჩამოსვლა.** საქართველოს ახალი ექსარხოსი ტფილისში უნდა ჩამოვიდეს 25 იანვარს. გუშინდელ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ექსარხოსის დახვედრის ცერომონიალი. სადგურზე უნდა მიეგებნენ ნამესტნიკის თანაშემწენი სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი, მარშალი ქალაქის თავი. სადგურიდან სიონის ტაძრამდე გააცილებენ ჟანდარმთა რაზმი და ნამესტნიკის კონვოი. სიონში წირვის შემდეგ ლიტანიით წავლენ ექსარხოსის ეკლესიაში, სადაც ექსარხოსს წარუდგენენ მოხელეებს.

◆ **ქუჩის გაფართოება.** სიონის ტაძრის მნათემ ნაფ. ვექილმა სტალინსკიმ მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას სიონის ტაძრის წინ ქუჩის გაფართოვების შესახებ. ამ სამი წლის წინად ქალაქის გამგეობას სასინოდო კანტორისათვის აღუთქვამს ძველ შენობების ასაღებად და ქუჩის გასაფართოვებლად ადგილების შესყიდვა, მაგრამ აღთქმა ვერ განუხორციელებია უფულობის გამო. ბ-ნი სტალინსკი აგონებს გამგეობას ამ გარემოებას და სწერს, რადგან ქალაქის ფინანსები დღეს კარგ მდგომარეობაშია, შეიძლება ამ საქმის განხორციელება, მით უმეტეს, რომ მალე ქალაქი $3\frac{1}{2}$ მილიონ მანეთის სესხს აიღებსო.

◆ **საქმის გადადება.** 18 იანვარს ქუთაისში ტფ. სამოსამართლო პალატის სესიას უნდა განეხილა ეგრედ წოდებულ „გურიის რესპუბლიკის" საქმე. რადგან ბევრი მოწმე არ გამოცხადდა, საქმის განხილვა სხვა დროსთვის გადაიდო.

◆ **დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორმა 20 მანეთით დააჯარიმა „ცისკრის" სტამბა იმის გამო, რომ ამ სტამბაში დაიბეჭდა წ.-კ. საზოგადოების განკარგულებით ვაჭრების სიები. სიების დაბეჭდვის დროს სტამბას არ დაუცავს ბეჭდვითი საქმის შესახებ გამოცემული წესები.

◆ **თათბირი სესხის განაღდების შესახებ.** 19 იანვარს საღამოთი ტფ. ქალაქის გამგეობამ მიიწვია საბჭოს საფინანსო კომისია და ტფ. საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. შეერთებულმა სხდომამ თათბირი იქონია იმაზე, შესაძლებელია თუ არა რუსეთში განაღდებულ იქნას ტფილისის 3 ნახ. მილიონიანი სობლიგაციო სესხი. ბანკირებმა გამგეობას განუმარტეს საქმის მდგომარეობა ბირჟაზე და განაცხადეს, რომ ქალაქისთვის სესხის განაღდება რუსეთში უფრო სარფაა, ვიდრე საზღვარ-გარედო. მათის აზრით არა თუ რუსეთში, ტფილისშიაც საკრედიტო დაწესებულებანი დიდის სიამოვნებით იკისრებენ სესხის განაღდებას.

◆ **მეპურეების საჩივარი.** ტფ. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქმნა ნიხრის დამწესებელ კომისიის დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქში მესამე ხარისხის პურის ნიხრი დაკლებულ იქმნა. მეპურეებმა საერთო განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სწერენ, რომ მათთვის საზარალოა ნიხრის დაკლება. ამ საჩივარს ნიხრის დამწესებელი კომისია განიხილავს პარასკევს, 22 იანვარს.

◆ **გაზეთების გაყიდვის წესი.** ტფ. პოლიცმეისტერის განკარგულებით, გუშინ შეჰკრიბეს პოლიცმეისტერის კანცელარიაში ქუჩებსა და მოედნებზე გაზეთების გამყიდველნი და აცნობეს წესი გაზეთების გაყიდვისა. გამყიდველები ზრდილობიანად უნდა იქცეოდნენ, უნდა ჰყიდნენ ყველა გაზეთებს, ტრამვაის გაჩერებულ ვაგონებზე არ უნდა შეხტნენ და სხვა.

◆ **ნაანდერძევი ქონება.** ტფ. ქალაქის გამგეობას რუსეთის კონსული პარიზში სთხოვს ცნობებს მატინოვის ნაანდერძევ ქონების შესახებ. საფრანგეთის კანონით საფრანგეთში გარდაცვალებულთა ნაანდერძევ ქონებიდან საფრანგეთის ხაზინას უნდა წარედგინოს ნაწილი.

◆ **ნიხრით არ ვაჭრობენ.** გუშინ შუა ბაზარში ქალაქის აგენტმა ურონტაძემ ოქმები შეუდგინა ყასაბებს ჯარაშმელოვსა და ასლამაზოვს, რადგან პირველმა ნიხრზე 8 კაპ. მეტად გაჰყიდა ცხვრის ხორცი, ხოლო მეორემ—2 კაპ. მეტად ძროხის ხორცი, ოქმები ქალაქის გამგეობას წარედგინა. საზოგადოდ არსად ქალაქში ხორცი ნიხრზე არ იყიდება.

◆ აქამდე ქალაქის საფოსტო ყუთებიდან წერილების მოკრება დავალებული ჰქონდა ცხენით მოსიარულე მოხელეს. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ გადასწყვიტა შემოიღოს ამისთვის ავტომობილი. გუშინ, 20 იანვარს, ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ კანტორის უფროსმა თითონ გამოსცადა ავტომობილით წერილების მოკრება. წერილები ახლა, რა თქმა უნდა, უფრო დროთი შეიკრიბება.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა ბრძანებანი დაუგზავნა პოლიციის მოხელეებს მეეტლეების შესახებ. პოლიციაში მიღებულ ცნობებით აღმოჩნდა, რომ ბირჟაზე მეეტლეები მეტად უწესოდ გამოდიან თურმე; ეტლები ძველი და უსუფთაოა. თვით მეეტლენიც დახეულ ტანისამოსში არიან და სხვა. პოლიცმეისტერი უბრძანებს მოხელეებს, თვალყური ადევნონ, რომ მეეტლენი სუფთად იდგნენ ბირჟაზედ და ვინც დაარღვევს დადგენილებას; ოქმი შეუდგინონ. პოლიციელებს უფლება ეძლევა წესის დამრღვევი მეეტლენი ბირჟიდან განდევნონ.

◆ 19 იანვარს დესიმონოვის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ ივანე მაილოვსა და პაშა სოინ ოღლის. ამ უკანასკნელმა დანით დასჭრა მუცელში მაილოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო სოინ ოღლი დააპატიმრეს. ამავე დღეს ყაზბეგის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ დავით ჩაჩანელსა და ტატო ასლანიშვილს. ასლანიშვილმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა ჩაჩანელი. ტფ. მოქალაქე ბაგრატ მარცვალოვმა პოლიციას გამოუცხადა, ვიღაც ქურდმა 200 მანეთის ნივთები მომპარაო. ეჭვით დააპატიმრეს სამსონ კალმახელიძე.

◆ 19 იანვარს ჩხრეკის დროს პოლიციის მე-6 ნაწილში დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი. ამავე დღეს საღამოს შვიდ საათზე დააპატიმრეს საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლებული ყაზარ მაკიანცი, რომელიც ტფილისში სცხოვრებდა არშაკ მარტ. ავეტისოვის პასპორტით. მაკიანცის ბინა გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს ბერდანის თოფი რისთვისაც იგი პასუხისგებაში მისცეს. დააპატიმრეს აგრეთვე 19 იანვარს იოსებ დავით. მამუკაშვილი და ანტონ ლევან. გეთიაშვილი, რომელნიც საგენ.-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ნებადაურთველად დაბრუნებულან.

◆ 19 იანვარს თავის მოკვლის განზრახვით ელიაზაროვის ქუჩაზე თუმანიანცის საროსკიპო სახლში მარიამ კოჩეტკოვმა ბერტოლეტის მარილის წყალი დალია. მოწამლული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

## მოწერილი ამბები

**ფოთი.** ქალაქის საბჭომ შარშან 17 თებერვალს განიხილა რამდენიმე ხმოსნის მოხსენება იმის შესახებ, რომ ფოთში დაარსებინათ ქალთა სამეურნეო სასწავლებელი. ეს სასწავლებელი უნდა ყოფილიყო იმ ტიპისა, როგორიც არსებობს ჩერნიგოვის გუბერნიაში (დიუდმილას ქალთა სასწავლებელი) პირველ სხდომაზე ვერავითარ დასკვნას ვერ დაადგა საბჭო, რადგან საკმაო მასალა არ ჰქონდა მოგროვილი გამგეობას. იმავე წლის 15 ენკენისთვის სხდომაზე საბჭომ გამოარკვია, რომ ერთ-დროულად საჭირო იყო 83,369 მან. 49 კ. ამ თანხაში შედიოდა მიწის ფასი—17,000 მან. და რადგან ქალაქს მიწა ადგილად ეშოვებოდა, ამიტომ, სპეციალისტების გამოკვლევით, სასწავლებლის აშენება დაჯდებოდა 66,369 მან. 49 კ. გაითვალისწინა რა საბჭომ ასეთი მოხსენება, დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ იყოს. ქალაქმა მიიღო ნახევარი ხარჯი, ე. ი, 33,185 მ. იმ პირობით კი, რომ ეს ვალი ქალაქს გადახდეს 15 წლის განმავლობაში. ყოველ წლივ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქნას 2,220 მ. 35 კ. ამ ვალის დასაფარავად რაც შეეხება წლიურად სასწავლებლის შენახვას, რომელიც ჯდებოდა 7.500 მან., ქალაქი კისრულობდა არა ნაკლებ 2.500 მან., ხოლო დანარჩენი ორი-მესამედი უნდა ეკისრა ერობასა და ხაზინას.

შარშან ეს ერთად ერთი ღირსშესანიშნავი დადგენილება იყო ფოთის საბჭოსი. ეს სიმპატიური დადგენილება რომ განხორციელებულიყო, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა როგორც მეგრელებისათვის, ისე გურულებისათვის, რადგან ფოთს საშუალო ადგილი უჭირავს.

მაგრამ ამ ორი კუთხის ქალებს ბედი არ გაუღიმათ. 21 დეკემბრის თარიღით ქალაქის თავმა მიიღო მოწერილობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან, რომელიც ატყობინებს ქალაქს, რომ შესაძლოდ ვერა ცნობს ასეთ სასწავლებლის დაარსება ფოთში შემდეგის მოსაზრებით: ა) ფოთი შუა ადგილი არ არის კავკასიისთვის და მთელ მხარეს ვერ გაუწევს სამსახურსო; ბ) მზრუნველი ვერ აღძრავს შუამდგომლობას მთავრობის წინაშე ასეთ დიდ თანხის დახარჯვის შესახებო. ამ რიგად ქალაქის დადგენილება განუხორციელებელი რჩება.

ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვეტაცი 8 იანვარს მოვიდა ფოთში. სადგურზე მიეგებნენ ქალაქის გამგეობის წარმომადგენელნი და ხმოსნები. ორი დღე დაჰყო ფოთში. ამ ხნის განმავლობაში დაათვალიერა შავი ქვის გადასატვირთავ დამტვირთავი მოწყობილებანი, პოლიასტომის ტბა, სასწავლებლები და რედუტკალეს ახლო-მახლო მდინარეები. შავი ქვის მრეწველმა ბერძნებმა მეორე დღეს ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ნადიმი გაუმართეს.

**ბედკრულიძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** დღეს, 21 იანვარს, ადგილობრივ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მ. გორკის პიესა „ნაძირალნი" (На днѣ) ახალგაზდა მსახიობთა საბენეფისოდ. ეს პიესა პირველად იდგმება ქართულად ქუთაისის სცენაზე. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: ნ. ჩხეიძის ასული, ნ. დავითაშვილის ასული, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი და სხვანი. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცნობილ ავტორის ერთი საუკეთესო ნაწარმოების წარმოდგენა, ამ წარმოდგენაში ქართულ სცენის საუკეთესო ძალების მონაწილეობა და წარმოდგენის მეტად სიმპატიური მიზანი დიდ საზოგადოებას მოუყრის თავს და მით წააქეზებს ჩვენ ახალგაზდა მსახიობთ, რომ შემდეგშიაც ისევე გულმოდგინედ იმუშაონ სასცენო ასპარეზზე, როგორც ამ სეზონში მუშაობდნენ.

—

**სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სცენის მოყვარე-

---

წინაალმდეგ ამ ეროვნულად აღმოცენებულ აზროვნებისა და პითაგორეულს და ეგვიპტის მსოფლიო მხედველობის შესამჩნევ გავლენის ქვეშ, პლატონმა, პირიქით, ამ ქვეყნიური ცხოვრება დასახა აჩრდილთა სამეფოდ. უბადრუკი და უმნიშვნელო სადგურია მიწიერი არსებობა, რომელზედაც დროებით ჩერდება სული წარსულისკენ დაუსაბამებელი და მომავალში უკვდავი. ლამაზს პოეტურს სიმბოლოებში მან თავის „სახელმწიფოში" საქაობნელს გამოქვაბულს შეადარა, რომელშიაც ჩვენ ვსხედვართ ბჭეებს ზურგ მიქცეულნი, ერთ ფეროვან ზღუდებისკენ თვალებ მიპყრობილნი. იდუმალი არსებანი დადიან ჩვენს უკან ჭრაქებით და ლამპრებით აღჭურვილნი. ჩვენ რომ უკან მობრუნება შეგვეძლოს ან მით უმეტეს გამოქვაბულისაგან თავის დაღწევა, პირველად მაინც ვერაფერს დავინახავდით გარკვეულად, იმდენად აუტანელი და დამაბრმავებელია ჩვენს გრძნეულ ნივთათვის ის ცხოველი სინათლე ნამდვილ ყოფნისა. ის კი, რასაც ჩვენ მღვიმეს კედლებზე ვხედავთ, მხოლოდ ლანდია, აჩრდილი,—ბევრ გზის შეუსამებელი ხატება იმისი, რაც ჩვენს უკან რეალურად ჰხდება.

მაგრამ მაღალს და კეთილშობილ სულისათვის საკმაოა ეს გამოურკვეველი სურათებიც, რომ გაახსენდეს წინასწარი ყოფნა იდეათა ნათელ სამეფოში, რომლითაც ის სტკბებოდა სანამ ხორციელს სატუსაღოში შევიდოდა. მას იცავს კაეშანი და ლტოლვა თავის ნამდვილს სამყოფისაკენ, რომელიც მან დროებით დაჰკარგა, თეორეტიულს სფეროში ფილოსოფიური შემეცნება, ხოლო ეთიურში-ეროსი, მშვენიერი ღვთაება უმწიკვლო სიყვარულისა, გამოდიან შუამავლებად შებოჭვილს, მაგრამ მუდმივ ზეციურისკენ ლტოლვილს სულს და მის საუკუნო, იდეალურს სამშობლოს შორის. თეორეტიულ შემეცნება ოთხს საფეხურს ადის, სანამ იგი საბოლოოდ სცნობდეს, რომ იდეათა სისტემა არის ნამდვილი არსი და რეალური საფუძველი ყოველ ნივთისა და მოვლენისა, გრძნეული ქვეყანა კი მხოლოდ მისი წარმავალი და უფერული გამოხატულება: გარეგნულ შთაბეჭდილებათა შეთვისება და მოსაზრება მისი პირველი და უდაბლესი საფეხურია. უფრო სანდო შეგრძნებათა ამორჩევა და რწმენა მეორე, ჭკუის შემეცნება და მათემატიკური ცოდნა მესამე, ხოლო გონებრივი შემეცნება და დიალექტიკური ან ფილოსოფიური უკანასკნელი და უმაღლესი.

ამ თეორეტიულის გზით ფილოსოფიურად მოაზროვნე აღწევს სიკეთის იდეამდე, რომელიც შემდეგ იქცევა მის ეთიურ ლტოლვის მიზნადაც. სიკეთის იდეა უდიდესი არსებაა იმ ზექვეყნიურს სამეფოში უზენაესი ღვთაება, დემიურგი ანუ შემომქმედი კოსმოსისა. სრულს ჰარმონიაში იმყოფებიან სხვა იდეანი უზენაესთან: თვით ბოროტი „მსოფლიო სული", როგორც პლატონი უწოდებს უარყოფითს პრინციპს თავის „ტიმეოსში", ძლიერ სუსტია, რომ შესძლოს ამ სრულის თვისების და დიად თანხმობის დარღვევა. დისჰარმონია, ბოროტება და ყოუსრულობა მხოლოდ ამ ქვეყნიურ არსებობის ნიშანდობლივი თვისებანი არიან. შეუძლებელიცაა მათი საქაოსაგან აღმოფხვრა: გრძნეული და მატერიალური პრინციპი, საფუძველი მიწიერ არსებობისა, არასოდეს არ გააშლევინებს ეთიურს იდეალს მთელს თავისს შემომქმედს და განმათავისუფლებელს ძალას.

ამიტომ ფილოსოფიური შეგნება იგივე სიკვდილის სურვილის შეგნებაა. განსაკუთრებით „ფედონში" პლატონი განსაკუთრებულის და წარმტაცის სიძლიერით ანვითარებს იმ აზრს, რომ სხეული საფლავია სულისა, მისი უბედურების და დამცირების წყარო, მისი შეცდომებისა და შეცოდებების მიზეზი. სიკვდილისთვის მზადებაა ცხოვრება და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ მიაღწევს სული სრულს შემეცნებას და სიკეთეს, განშორდება რა საბოლოოდ ყოველს მიწიერს და ხორციელს. არსებითად იქ, იდეათა სფეროებში, დაიწყება ნამდვილი ცხოვრება შეკავშირებულ უსაზღვრო ბედნიერებასა და უნაკლულო ნეტარებასთან, რომელსაც ეთიური პიროვნება ამაოდ ეძებდა ამ ქვეყანაში.

თუმცა სიკეთეს თავისი დამოუკიდებელი ღირებულება აქვს და თავის სანქციას და დადასტურებას სიამოვნებისა და სარგებლიანობისაგან არ საჭიროებს, მაგრამ ის მაინც ხანგრძლივს წინააღმდეგობაში არ იმყოფება ბედნიერების და ნეტარების იდეასთან. უდიდეს ეთიურ იდეალის მიღწევა უდიდეს სულიერ სიამოვნების მიღწევაც არის და მხოლოდ ზეგრძნეულს, ტრანსცენდენტალურს ყოფნაში შეიძლება, სადაც სიკეთის იდეა მთელის თავისი შეუზღუდავ ბრწყინვალებით ბატონობს. ამგვარად, ბედნიერებას სახავს ეთიური ლტოლვის საბოლოო და უმაღლესს მიზნად და ტრანსცენდენტალურის ევდემონიზმით ათავებს ეს ადამიანი, რომელიც „ფედონში" უკიდურესს ასკეტიზმამდე მივიდა, ხოლო ცირენაიკულს სკოლასთან ბრძოლაში ახლად აღმოცენებული ემპირიული ჰედონიზმი მწარე და შეუბრალებელ ირონიით გაანადგურა.

ამ ღრმა შეურიგებელს დუალობას გრძნეულსა და ეთიურ ქვეყანათა შორის, ამ თითქმის აბსოლუტურს და უკანდაუხედავს უარყოფას ყოველივე იმისას, რასაც საქაოს და დროულის ბეჭედი აზის, რამდენიმედ აცხრობს ერთი გარემოება, რომელიც აშკარად მოწმობს, რომ პლატონში აღმოსავლეთის სიბრძნის გავლენის ქვეშაც მაინც ღვივის ნამდვილი ბერძნული სული და ნიჭი ცხოვრების სიხარულთა საცნობად და დასაფასებლად. ეს არის ეთიური როლი სიყვარულისა და მშვენიერებისა, რომელიც ნათლად და გარკვევით არის დასაბუთებული პლატონის „წვეულებაში" და „ფედროსში", მშვენიერება ყველაზე შესაბამებული გრძნეული სარკეა, რომელშიაც „სიკეთის იდეა" გამოსჭვივის: ამიტომ ეროსის ანუ წმინდა სიყვარულის საშუალებით სულს ისევე შეუძლია ამაღლდეს უკვდავების და მარადისობის ცნობამდე, როგორც თეორეტიულ შემეცნებით და დიალექტიურ ფილოსოფიით. ახალგაზდურის გულისთქმით იწყება ეს გზა, აღტაცებით ლამაზ, ჯანსაღ სხეულის წინაშე; შემდეგ იგი მიდის იმ შეხედულებამდე, რომ სხვა და სხვა სხეულთა სილამაზე არსებითად მონათესავე არის, გამოხატულება ერთ და იმავე უცვლელ ცნებისა; შემდეგ ჩნდება, რომ სულიერი მშვენიერება კიდევ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ხორციელი სილამაზე, რომ ესეც არსებითად ერთი და იგივეა ყოველთვის, თუმცა სხვა და სხვა სახით გვევლინება. და აი, ბოლოს მგზავრი, ეროსის ხელმძღვანელობით მიდის იქამდის, რომ ჰხედავს მშვენიერებას მოქმედებაში, ზნეში, ცოდნაში, მეცნიერებაში: იგი თავისუფლდება მონურის ვნებისაგან მხოლოდ ერთის ლამაზ ყმაწვილისა ან დედაკაცისადმი და სტკბება უკვდავების ცქერით, რომელიც იმის წინაა გაშლილი, როგორც თვალუწვდენელი ზღვა მშვენიერებისა.

მაგრამ ყველას დამოუკიდებლად არ ძალუძს ამ გზით სიკეთის იდეამდე მიაღწიოს, საუკუნო ნეტარება და უკვდავება მოიპოვოს. „ფედროსში" პლატონი სულს ეტლს ადარებს, რომელშიაც ორი რაში აბია, ერთი კეთილშობილი და ერთიც ულირსი და უნდო ხასიათისა. მხოლოდ ბრძენის ბუნებაში, სადაც ამ რაშებს გონების სახით შორს მჭვრეტელი ხელმძღვანელი ჰყავთ, მიდის ეს ეტლი კეთილისა და ჭეშმარიტებისაკენ. სხვაფრივ კი სიკეთის განხორციელება ამ ქვეყნად მხოლოდ დიადს სოციალურს ერთეულში შეიძლება, იდეალურს სახელმწიფოში, სადაც თვითეული პიროვნება და წოდება ასრულებს თავის ერთხელ მიჩნეულს დანიშნულებას და სრულს ჰარმონიაში იმყოფება დანარჩენ ნაწილებთან. ფილოსოფოსნი განაგებენ აქ, ამ არისტოკრატულს სახელმწიფოში, როგორც სიბრძნის სათნოების მატარებელნი, მხედარნი იცავენ მას გარეშე მტრისაგან და ანხორციელებენ ვაჟკაცობის იდეას, ხოლო ხელოსანნი, გამსჭვალულნი ქველის ზომიერებით, თავიანთის შრომით ჰკვებავენ როგორც დაბალს, ისე ორივე მაღალ, ფიზიკურ მუშაობისაგან თავისუფალ წოდებას ამ განსხვავებულ ნაწილთა და სათნოებათა ჰარმონიისაგან კი თავის თავად გამომდინარეობს მეოთხე და უდიდესი სათნოება პლატონიურ ეთიკისა, სამართლიანობა, რომლის განხორციელება უაღრესად სახელმწიფოს შეუძლიან, იმიტომ რომ თვითეული ყოველთვის შეიძლება მოკლებული იყოს ერთ-ერთს იმ ნიჭთაგანს, ურომლისოდაც ეთიურ სისრულის მიღწევა შეუძლებელია.

თუმცა, ამგვარად, პლატონის მორალს ძლიერი სოციალური ელფერი ეძლევა, მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაგვავიწყებინოს ის, რომ მისთვის იდეალური სახელმწიფოც დროული სამყოფია, სადაც ზნეობრივი პიროვნება ემზადება იმ ამაღლებულ მიზნისათვის, რომელიც ამ ცხოვრების გარეშე სძევს და რომლის მიღწევა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეიძლება. უკვდავი და მუდმივი კი მისთვის, ისევე როგორც ვედანტას სარწმუნოებისათვის, მხოლოდ სულია და თავის საუკუნო არსებობის და ბედნიერების უზრუნველსაყოფელად სრულიადაც სხეულის შენახვას არა საჭიროებს, როგორც ეს ეგვიპტელებს და სხვა ხალხთაც ეგონათ, სანამ პლატონის სპირიტუალიზმი ამ რწმენას საბოლოოდ არ შეარყევდა.

**გერონტი ქიქოძე.**

(შემდეგი იქნება)

თა წრის მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის და კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცაგარლის „ციმბირელი". რეჟისორი კ. შათირიშვილი. ბილეთების ფასი 5—50 კ.

**წარმოდგენები სახალხო სახლში.** 1909 წელს ზუბალაშვილის სახლში გამართულა სულ 185 წარმოდგენა. აქედან სხვა და სხვა ენაზე სახალხო წარმოდგენა და კონცერტი ყოფილა 135.

# ОСМАЛЕТИ

## ოსმალეთი

**ოსმალეთის ახალ სამინისტროს პროგრამმა.**

დეპეშებიდან ვიცით, რომ ოსმალეთის ახალმა დიდმა ვეზირმა ხაკი-ფაშამ სამინისტროს პროგრამა წაიკითხა.

დიდმა ვეზირმა თავდაპირველად სინანული გამოსთქვა პარლამენტის შენობის დაწვის გამო, ეს ნამდვილი ეროვნული უბედურება იყოო. მერე ხაზგასმით აღნიშნა თავის სამინისტროს ერთნაირობა და განაგრძო: მთავრობის პირველ მოვალეობას შეადგენს: ხალხის დაწყნარება, უფლებრივ წესწყობილების განმტკიცება და იმ ნორმალურ წესების აღდგენა, რომლებიც გააუქმეს აპრილის კონტრ-რევოლიუციის დროს, როდესაც დააწესეს განსაკუთრებული წესები.

აღნიშნა რა აღმასრულებელ და კანონმდებელ ძალის განსაზღვრის საჭიროება, დიდმა ვეზირმა გაიხსენა ეროვნული საკითხი და აღნიშნა, რომ საყოველთაო სამხედრო ბეგარის დაწესება ხელს შეუწყობს ეროვნებათა შერიგებას ოსმალეთშიო.

ხაკი-ფაშამ ჩამოსთვალა ის მორიგი კანონპროექტები, რომლებსაც მთავრობა მალე წარუდგენს პარლამენტს: კანონპროექტი პროვინციალურ ადმინისტრაციაზე, კანონპროექტი კონცესიებზე (ლინჩის საქმე, რომლის გამოც დაეცა ხილმი-ფაშას სამინისტრო) და სხვა.

დიდმა ვეზირმა აღნიშნა, რომ ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია გულწრფელ მეგობრობაზე სახელმწიფოებთან და მეზობელ სახელმწიფოებისადმი ნდობაზე. სამინისტრო დაიცავს სამშობლოს უფლებას და სახელს.

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ, ხაკი-ფაშამ მოკლე სიტყვით განმარტა ზოგიერთი მუხლი. კრიტეს საქმის თაობაზე მან გადაჭრით განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობა მარტო ავტონომიას მისცემს კრიტს, ხოლო იგი არ მოითმენს ოსმალეთის უფლების დარღვევას და სხვა სახელმწიფოების ჩარევას კრიტეს საქმეში. მთავრობა დიდს სიფთხილეს გამოიჩენს ამ საქმეში.

დასასრულ, პალატამ 187 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 34-ისა ნდობა გამოუცხადა სამინისტროს.

## უცხოეთი

**ლოიდ ჯორჯის სიტყვა.**

დღემდე ინგლისში სულ არჩეულია 272 ლიბერალი, 41 მუშა, 80 ირლანდიელი ნაციონალისტი და 271 უნიონისტი. ირლანდიელები და მუშები დათხოვნილ პარლამენტშიაც მხარს უჭერდნენ ლიბერალურ პარტიასა. მათთან თანახმად მოქმედებდნენ არჩევნებში და სრული იმედია, რომ ახალ პარლამენტშიაც არ უღალატებენ ლიბერალურ სამინისტროს; ისეთ დიდ საკითხებში, როგორიცაა ლორდთა პალატის ალაგმვა და საზოგადოდ კონსტიტუციის შეცვლა, ხომ ბეჯით დახმარებას გაუწევენ, რადგან ლორდთა პალატამ მუშებსა და ირლანდიელებსაც მეტის მეტად მოაძულა თავი. მაინც ბევრი გაზეთი, ნამეტნავად უნიონისტური გაზეთები ჰფიქრობენ, რომ ლიბერალური პარტია ასეთის ჰრელის და მცირე უმეტესობის იმედით ვერ იკისრებს ძირითად რეფორმების განხორციელებასო, იქნება ლიბერალურმა სამინისტრომ სულაც ვერ გაბედოს ინგლისის მართვა გამგეობის სათავეში ჩადგომა და თავისი ადგილი კონსერვატორების სამინისტროს დაუთმოსო. ფინანსთა მინისტრს ლოიდ-ჯორჯს 12 იანვარს ალფერტონში დიდი პოლიტიკური სიტყვა წარმოუთქვამს და გაზეთების ხსენებული აზრი ციფირებით ხელში სულ მთლად გაუქარწყლებია. ლოიდ ჯორჯმა დაამტკიცა, თურმე, რომ მრავალ წინანდელს სამინისტროს გაცილებით ნაკლები უმეტესობა ჰყოლია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეხლანდელ ლიბერალურ სამინისტროს მომხრედ ეყოლება: 172 ლიბერალი, 41 მუშა და 80 ნაციონალისტი, სულ 393, ხოლო უნიონისტებს ეყოლებათ—271, ასე რომ მთავრობის უმეტესობა უდრის—122 და გინდ დანარჩენი 6 დეპუტატიც, რომლებსაც ალბად უკვე აირჩევდნენ, სულ უნიონისტი გამოდგეს, მთავრობას 116 მეტი დეპუტატი მაინც ეყოლება პარლამენტში.

ლოიდ-ჯორჯს უთქვამს: 1877 წელს კონსერვატორების მეთაურს დიზრაელის პარლამენტში ჰყავდა სულ 91 ხმის უმეტესობა, მაგრამ დიზრაელი მაინც სრულ 6 წელიწადს ჰმართავდა სამინისტროს და სახელმწიფო საქმეებს და ამასთანავე დიდ მხნეობასა და დიდ ბეჯითობასაც იჩენდა. 1874 წელს კონსერვატორებს ჰყავდათ 90 ხმის უმეტესობა. კონსერვატორები ირწმუნებიან, რომ ლიბერალურ პარტიის უმეტესობა არ წარმოადგენს ერთნაირ პარტიასაო; მაგრამ მუშები ხომ უეჭველად მხარს დაუჭერენ ლიბერალებს და ეს სრულიად საკმარისია. მე ვიცი, რომ ჩვენში იყო ერთი არა ერთნაირი, ჭრელი უმეტესობა და 1886 წელს მან სამინისტროც შეადგინა. ამ უმეტესობის მეთაური იყო ჯოზეფ ჩემბერლენი, ხოლო მის გვერდით იდგნენ მარკისი სალისბური და გოშენი, რომლებსაც იმ წინა ხანებში ჩემბერლენი სასაცილოდ იგდებდა. ჩვენ მოწინააღმდეგე უნიონისტებს ორი საზომი აქვთ: ერთი თავიანთთვის, მეორე—ჩვენთვის!

ლოიდ-ჯორჯის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ვაჭრობის მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა. ამანც გაბედულად გაილაშქრა ლორდების წინააღმდეგ და წინანდებურის სიმკაცრითვე მოითხოვა მათი ალაგმვა.

**ბალფურის სიტყვა.**

ამ დღეებში, ქალ. გალინგტონში ილაპარაკა უნიონისტების მეთაურმა ბალფურმა. მან სთქვა, რომ სატარიფო რეფორმის განხორციელება შეუძლებელი იქნება მომავალ პარლამენტში, რადგან უნიონისტებმა ჯერ ვერ დაამარცხეს „რადიკალ-სოციალისტები" და ირლანდიელებიო. მაგრამ უნიონისტები იარაღს არ დაჰყრიან და სატარიფო რეფორმა ბოლოს და ბოლოს განხორციელებულ იქნებაო დასასრულ, ბალფურმა მოითხოვა ფლოტის გაძლიერება, რადგან „გერმანიის საფთხე" კარზე გვადგიაო.

**ინგლისურ გაზეთების აზრი არჩევნებზე.**

დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ ზომიერ-ლიბერალურმა „უესტმინისტერ გაზეთ"-მა ურჩია ლიბერალებს, ლორდთა პალატის საკითხი უნიონისტებთან შეთანხმებით, მშვიდობიანად გადასწყვიტეთო; იმედია, ამაზე უნიონისტებიც უარს არ იტყვიანო.

„უესტმინისტერ-გაზეთ"-ს თავაზიანად გამოეხმაურა ზომიერ-კონსერვატიული გაზ. „ტაიმს"-ი. გაზეთის აზრით, ინგლისის ერმა ვერ დასდვა გაბედული მსჯავრი პარტიების პროგრამებს და ამიტომ შეუძლებელია მსხვილ რეფორმების განხორციელება. ინგლისის მრეწველი ნაწილი, პროტექციონისტების საუბედუროდ, სატარიფო რეფორმის წინააღმდეგი გამოდგა. მეორეს მხრით, ის მცირე უმეტესობა, რომელიც შეიძინეს ლიბერალებმა, გვიჩვენებს, რომ ინგლისი არა თხოულობს კონსტიტუციის ძირითად ცვლილებას. „ტაიმს"-ი მზადაა, შეასრულოს ლიბერალების მოთხოვნილება, რომ დეპუტატთა პალატას უცილობელი უპირატესობა ჰქონდეს საფინანსო საქმეებში, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ პალატამ ბოროტად არ მოიხმაროს, ესე იგი საფინანსო კანონ პროექტებში სხვა ხასიათის კანონპროექტები არ შეაპაროს. გაზეთი რჩევას იძლევა, რომ ლიბერალების და კონსერვატორების მეთაურებმა კერძო თათბირი მოახდინონ და შეთანხმება ჩამოაგდონ ამ საქმეზე მაგრამ, გაზეთის აზრით, თავდაპირველად უნდა უზრუნველ ჰყონ ბიუჯეტის დამტკიცება, ხოლო ამ საქმესაც ლიბერალები უფრო ადვილად მოახერხებენ. ლიბერალებთან შეთანხმებით, ვიდრე ირლანდიელების შემწეობითო.

„ტაიმს"-ის იმავ ნომერში განთქმული მცოდნე ინგლისის კონსტიტუციისა სიდნეილოუ წინადადებას იძლევა, რომ პარტიებმა ერთმანეთთან შეთანხმებით საერთო სამინისტრო შეადგინონ ლორდ როზბერის მეთაურობით; და ამ სამინისტროში უნდა შევიდნენ ისეთი ლიბერალები როგორც ედუარდ გრეი, ჰოლდენი, მორლეი და ჯონ ბერნსი და ისეთი კონსერვატორები, როგორც ლორდები: კრომერი, კერზონი და მილნერი.

რაღა თქმა უნდა, რომ ინგლისის მემარცხენე ლიბერალური პრესა, ნამეტნავად გაზ. „დეილი ნაუზ"-ი და „მანჩესტერ გვარდიან"-ი გადაჭრით უარჰყოფენ შეთანხმებას უნიონისტებთან და გაბედულად მოითხოვენ ლორდთა პალატის უფლების ალაგმვას.

## აგარაკი ბავშვთათვის

(მანგლისში ოდნოსუშოვის სახელობაზე არსებულ საზაფხულო აგარაკის კომიტეტის ანგარიში).

მანგლისში ამ ორის წლის წინად დაარსდა ოდნოსუშოვის სახელობაზე საზაფხულო აგარაკი. ქველმოქმედმა ქვრივმა ქ-ნ მარგარიტა ადოლფოვნა ოდნოსუშოვის ქვრივს, რომელმაც ძვირად ღირებული თავისი საკუთარი საავარაკო სახლი უმცვლებელის ერთი და ბადით შესწირა ტფ. ქალთა გიმნაზიების ღარიბ და ჯანით სუსტ მოსწავლეთათვის საზაფხულო ბინის მოსაწყობად. შეწირულება სამოსწავლო ოლქს გადაეცა, რომელმაც შეადგინა ამ საქმის საწარმოებლად ცალკე კომიტეტი. კომიტეტში წევრებად შედიოდნენ პედაგოგთა და მშობელთა წრის წარმომადგენელნი. პირველი ხელმძღვანელობა, როგორც თავმჯდომარეს, წილად ჰხვდა ან უკვე განსვენებულ მაგდალინა ფილიპეს ასულ კლაუსს, ქალთა მეორე გიმნაზიის უფროსს. მან მეტად მხურვალედ მოჰკიდა ხელი ამ სიმპატიურ დაწესებულებას და პირველსავე წელიწადს მოახერხა 25 ღარიბ მოწაფის საავარაკოდ გაგზავნა.

საანგარიშო 1909 წ. გაიგზავნა 30 მოწაფე. ბავშვებმა იცხოვრეს მანგლისში სრული ორი თვე, 17 თიბათვიდან 19 მარიამობისთვემდე. მეთვალყურეობა იკისრა უსასყიდლოდ ექიმმა როტინიანცმა. უმაწვილებს ჭამა-სმა კარგი ჰქონდათ, მომეტებულ დროს სუფთა ჰაერზე ატარებდნენ. პირველად, სანამ ჯანს მოიკრებდნენ, სასეირნოდ ახლო-მახლო დაჰყავდათ; შემდეგ კი შორსაც. შინ ყოფნის დროს ბავშვები ერთობოდნენ წიგნის კითხვით, ზოგი ქსოვა-ხელსაქმით, ზოგიც მორიგეობდა—საცხოვრებელი ბინა წესიერებაში მოჰყავდათ. კომიტეტის წევრებიც უყურადღებოდ არა სტოვებდნენ ბავშვებსა და მათ ყოფა-ცხოვრებას. მუდმივ მეთვალყურედ დაყენებული იყო მასწავლებელი ქალი მ. დ. არხიპიანი, რომელმაც სამაგალითო მზრუნველობა გამოიჩინა და ისე მოაწყო ბავშვების ცხოვრება, რომ ისინი სრულს კმაყოფილებას გრძნობდნენ მშობლთა გარეშეც-კი. ყველანი მხიარულად ატარებდნენ დროს და სიამოვნების ელფერი ემჩნეოდათ. ორი თვის განმავლობაში ბავშვები სამჯერ აიწონნენ და შესამჩნევად წაიმატა ყველამ წონაში. ზოგიერთს 19 გირვანქა მოემატა.

თვითეული ბავშვის შენახვა კომიტეტს დაუჯდა 44 მან. 9 კ. (დღეში 66 კაპ.): საკუთრივ საჭმელზე იხარჯებოდა თითოზე დღეში 33 კაპ., 22 მან. 20 კ. ორ თვის განმავლობაში. მთლად დაიხარჯა ყველაზე 1,408 მან. და 30 კაპ.

სახსრის მოსაპოვებლად კომიტეტმა ტფილისშივე გამართა საღამოები. გარდა ამისა, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნ რუდოლფის მეუღლის თხოვნით ძმათა ადელგეიმებმა გამართეს წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც მთლად მანგლისის აგარაკის სასარგებლოდ გადაიდო. ამ ორ დასახელებულ წყაროდან კასაში შემოვიდა ნაღდი ფული 1743 მ. და 61 კ. გამართულ იქმნა საღამო თვით მანგლისში, რომლიდანაც ხარჯ გარეშე დარჩა 560 მან. და 70 კაპ. რაკი კასაში ფული იყო და შენობა ზოგი რამ შეკეთებას თხოულობდა, კომიტეტმა სახლის გასასინჯად მოიწვია ინჟინერები ო. ი. გურჩინი, დ. დ. ბუინოვი და მ. მ. ბურდიუკოვი. ამათ შეადგინეს გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა საჭირო შეკეთებისათვის, რომლისათვისაც ჩაანგარიშევია 450 მან, ბ-მა ბურდიუკოვმა უსასყიდლოდ იკისრა მეთვალყურეობა შენობის შეკეთების დროს. კომიტეტის ანგარიშით, შეკეთების შემდეგ, მანგლისის შენობაში თავისუფლად დაეტევა კიდევ 5 მეტი მოწაფე ქალი.

ყოველ ხარჯის დაკმაყოფილების შემდეგ (მათ შორის ის 450 მ., რომელიც სახლის გადასაკეთებლად უკვე გადადებულია) კომიტეტს კიდევ დარჩა თავისუფალი ფული 683 მან. და 54 კაპ.

კომიტეტი, ბეჭდავს რა ამ ანგარიშს, უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა შემომწირველს და იმათ, ვინც ხელს უწყობს ამ კეთილ საქმის აღორძინებას.

თავმჯდომარე **ა. სნარსკაია.**
მდივანი **ო. ტიხონოვისა.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ქვემოდ მოყვანილი ანგარიში მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში.

დაბა ლანჩხუთში 6 იანვარს გაიმართა წარმოდგენა თეატრის შენობის ასაგებად. ბილეთებიდან შემოვიდა 69 მან. და 90 კაპ., ბუფეთიდან დარჩა 4 მ. და 27 კაპ., სულ—74 მან. და 17 კ. დაიხარჯა: პარიკ-მახერზე—9 მან., ნებართვის აღებაზე 3 მ., ფიცრებზე—1 მ. და 80 კ., მუშებზე—2 მ., და 62 კ., დეპეშაზე—90 კ., წიგნსა და ქაღალდზე—73 კ., გაფუჭებულ ნივთების გაკეთებაზე—4 მ., მარკებზე—5 მ. და 16 კ., წვრილმანებზე—4 მ. და 65 კ. სულ ხარჯი—31 მ. და 86 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 42 მ. და 31 კაპ, რომელიც დანიშნულებისამებრ (თეატრის შენობის სასარგებლოდ) გადაეცა ნ. ჯავოშვილს.

გამგენი: **ნ. ჯავოშვილი**
და **ვ. ებრაელიძე.**

P. S. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ამ ანგარიშის გამოქვეყნება დაგვიანდა.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ხონის საზოგადოებას და იმ პირთ, ვინც ჩემდა პატივსაცემად შესწირა ფული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილებას.

ტფილისი. **ექიმი შ. მიქელაძე.**


**განცხადებანი**

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში.
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—41)

● **ღვინის ბარგი ბოთლები** ●
1/16 ვედრისა არის ბლომად კ. ი. კასაათვის საწყობში. ფასები იაფია. ადრესი: ტფილისი, სომხის ბაზარი, ს. საკრედიტო საზოგ.-ბისა, N 1, **გევორქ იაკობის ძეს კასაბოვს.** (3—124—2

მალიან იაფად

**ხე-ხილის ხეებს**
ყოველგვარ საუკეთესო ზამთრის ჯიშისას, მსხალსა და ვაშლს ჰყიდის ქართლის საუფლის წულო მამული.
ადრესი: ст. Ксанка. З. Ж. дороги.
(3—1032—1)

**თივა**
პრესში გატარებულს კარგი თვისებისას, ცალებად შეკრულს ჰყიდის ქართლის საუფლისწულო მამული 40 კაპ. ფუთს. პირობას ვაძლევთ, რომ დამპალი არ გამოდგება. ფრანკო სად. ქსანკა ვაგონებით დაკვეთილი.
ადრესი: ст. Ксанка З. Ж. Дороги.
(3—1033—1)

**იბეჭდება და პირველ თებერვალს გამოვა**
**მ ე ო რ ე ნ ო მ ე რ ი**
პედაგოგიურ-სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალ
**◀ განათლებისა ▶**
**შემდეგის შინაარსით:** 1. აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშო წიგნებისა. 2. სწავლა-აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ., **სამ ცომაიასი.** 3. **მთას,** (ლექსი), **ვაჟა-ფშაველასი.** 4. მკვდარი სკოლა, (მეუეკოსი) კ. ან—ძისა. 5. სიმღერა, (ლექსი) ლ. გეგეჭკორისა. 6. **სულა და ღმერთები,** (ლეგენდა) **ბაჩანასი.** 7. ქართული ენის პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 8. დედ-ენა, (უშინსკიდან). 9. **მესხ-ანიზმა პოლონურსა და ქართულს მწერლობაში, ალ. ხახანაშვილისა** 10. შინაური მიმოხილვა, Katti-სა. 11. სულით ავადმყოფ დამცველ-საზოგადოებათა კრება, (წერილი პეტერბურგიდან), ლ. ლ. გეგეჭკორისა. 12. სახალხო მასწავლებელი ინგლისში. 13. ზრუნვა მოწაფეთა ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთში. 14. სინემატოგრაფი და მისი მნიშვნელობა სწავლებაში. 15. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 16. განცხადებანი.
ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მან. **ცალკე ნომრები იყიდება მხოლოდ ტფილისში.** ვისაც წინა წლებში გადახდილი ჰქონდა 5 მანეთი, იმათ ჟურნალი წელსაც ეგზავნება; ვისაც პირველი ნომერი გაეგზავნა, ფული არ შემოუტანი და არც არაფერი უცნობებია რედაქციისათვის, მეორე ნომერი არ გაეგზავნება.
**მისამართი**—Тифлисъ. Дворянская грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.
(3—2) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**
„კლო-ეგურული" ქუთაისში.
● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—18)

**პროვოდნიკის**

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. ПРОВОДНИКЪ РИГА 1

1897 წ. ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА 1908 წ. 1888

**ამხანაგობა**
**რ ი გ ა შ ი**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● **იყიდება ნაღდად და ცალოგით:** ●
**რეზინის საეკიპაჟო შინები,**
**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),
**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**
**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**
„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აურებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.